

ფშავერი - ომაროს გზაზე ავარიასთან დაკავშირებით შსს-ს ოფიციალური ინფორმაცია



ფშავერი - ომაროს გზაზე
ავარიასთან დაკავშირებით შსს
ოფიციალურ ინფორმაციას
ავრცელებს .

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტმა ფშავერი-ომაროს მე-18 კმ-ზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო.

სავარაუდოდ, ავტომობილის მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და გადავარდა ხევში.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვრილია ავტომობილის მგზავრი 1984 წელს დაბადებული მამაკაცი, საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული ავტომობილის მძღოლი, ასევე საქართველოს მოქალაქე კი დაშავებულია, რომელიც გადაყვანილია საავადმყოფოში“, – აცხადებენ შსს-ში.

უწყების ცნობით, ადგილზე იმყოფებიან პოლიციის და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები .